

# საქართველო

პროვზული თავისუფლების ზვით - პროვზული თავისუფლების ზვით  
პროვზული თავისუფლების ზვით - პროვზული თავისუფლების ზვით

ეროვნული  
შინალობა

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის სამშაბათობით №70 (1700) 15 - 21 დეკემბერი, 1998წ. ● ფასი 50 თეთრი

**ნადით, ნადით... ქართულ პოლიტიკაში  
დამაგობებისათვის ადგილი არ იქნება!**



მე-2 გვერდი

**ერევანი-ბათუმის გზის პროექტი  
სომხებს  
გზად  
აქვთ!**

მე-3 გვერდი

**საგანგაოო ციფრები  
ქართული ეკონომიკის  
შუქ-ჩრდილები, ანუ ვის  
ჯიბაში ჩადის  
ვილიონობით დოლარი?!**

მე-2 გვერდი

**გულაბერ კლარჯი  
ქართველთა მეფე ბაგრატ მეორე რეგენი და  
საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება**

მე-3 გვერდი

**იუსტიციის მინისტრმა  
მწერლები „დაკოვი“  
ჩააყენა“ და სახელმწიფო  
მინისტრის განცხადების ახალ  
კანონებს გზავს დაულოცა**

მე-3  
გვერდი

**თურქ-  
სელჩუკ-  
ოღუზები და  
საქართველო  
(ისტორია  
და  
უძღებები)**

მე-9 გვერდი

**სინათლა... სინათლა...  
ანუ უბანში  
მისვალაბული  
ვინატროთ?..**

მე-2 გვერდი

# ნადით, ნადით... ქართულ პოლიტიკაში დემაგოგებისათვის აღგილი არ იქნება!

## ღია წერილი აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძეს

ქალბატონო მარიამ, ძალიან მიძინებდათ თქვენზე, ჩვენი თაობის ერთ-ერთ დიდ მასწავლებელზე, „კალამი გავავარჯიშო“. მაპატიეთ, რომ გავხედე თქვენი შეცდომა შემსწორებინა, უარეს შემთხვევაში კი, თქვენი პოლიტიკური ორიენტაციისათვის ოპონენტობა გამენიდა და გამეკრიტიკებინეთ, მითუმეტეს, როცა ამას დღეს მნიშვნელობა ნამდვილად აქვს გაუგებრობაში აღმოჩენილი ჩვენი თანამემამულეებისათვის. მერწმუნეთ, ვერ შევძელი ჩემი მოსაზრება თქვენთვის და ჩვენი თანამემამულეებისათვის არ გამეზიარებინა. მჯერა, ჩემი ნათქვამი თქვენში მხოლოდ ბუნებრივ რეაქციას გამოიწვევს. თუ ყოველივეს სწავლებლად ჩათვლით, ნურც ეს გაგანაწყენებთ და ნუ შეგვირისხავთ უსამართლოდ. განა თქვენ არ ბრძანებთ, გაზეთ „დროსათვის“ მიცემულ ინტერვიუში, რომელიც 68-ე ნომერში დაიბეჭდა მყვირალა სათაურით: „ზოგიერთი ქვეყნის ძმობას, რუსეთის ყმობა მირჩევნია“, რომ მე იმ საუკუნის ადამიანი ვარ და თანაც „ნარსულის რელსებიდან“ კიდარტვა მიძინებდათ. ჩვენ კი, 21-ე საუკუნის ქართველები ვართ და საზოგადოებრივი ფორმაციის ცვალებადობამ, გინდათ ყამთა სვლამ, საბედნიეროდ, თქვენგან განსხვავებული შეხედულებები ჩამოგვიყალიბა. ასე რომ,

უმართებულო არ იქნება, თუ თქვენი თაობაც ბევრ რამეს შეისწავლის ახალი თაობისაგან, თუმცა არც იმის უარყოფას ვაპირებთ, რომ დღევანდელი სწორედ თქვენი მხრებით მოვიდა ჩვენამდე. არა, ამ დამსახურებას ნამდვილად ვერ დაგიკარგავთ, მაგრამ აჯობებს

რელსებზე“ გადართვა მართლაც ძნელი იყოს და თქვენ, როგორც „საბჭოთა საქართველოს მოქალაქეს“, ძმობას მართლაც ყმობა გერჩიოთ, მაგრამ ჩვენ ასე ნამდვილად არ ვფიქრობთ. არა მგონია, დღევანდელ საქართველოში ისეთიარად იდგეს საკითხი, რომ მხოლოდ იმის არჩე-

ამ საკითხს შეეხებით, ისევ მხოლოდობითი ისაუბროთ. თქვენ ისტორიკოსი ბრძანდებით და კარგად უნყით ყმობა — ძმობის შედეგები, მაგრამ სამწუხაროდ, ამაზე არ საუბრობთ, არც იმას ამბობთ, რომ ჩვენი თავი ჩვენვე რომ უნდა „გვეყუდნოდეს“. „დიდი მეზობლისადმი“

მოიქცით, თუმცა ჩვენს წინა თაობასაც გაუჭრუთ იმედები. ამ „უმეცრებას“ და „გულუბრყვილობას“ ნამდვილად ვერ გაპატიებთ.



ქალბატონო მარიამ, თქვენ ინტერვიუში მხოლოდ შედეგზე საუბრობთ, შედეგთა მიზეზზე კი კრიტიკა არ დაგიძრავთ და ამას შეგნებულად აკეთებთ, რადგანაც არა მგონია ისეთი დიდი გამოცდილების მკვლევარს, როგორც თქვენ ბრძანდებით, ეს უნებლიედ მოგივიდათ. გეტყვით, ყოველივე იმ უბედურების, შეიძლება ითქვას, გადაგვარების მიზეზი, იმ წყობაში უნდა ვეძებოთ, რომლიდანაც მოდის თქვენი „გადაუსვვი რელსები“ და რა თქმა უნდა, ჩვენს დღევანდელ ხელისუფლებასაც, რომელსაც კომუნისტური დიქტატურის ნანგრევებზე აღმოცენებული შევარდნაძის რეჟიმი ჰქვია. ძველი პარტკომუნისტური ნომინალური კლასური კლიტა, რომელიც ამხანგმა ცეკას მდივანმა ბურქებიდან გამოიყვანა, ძველებურად აგრძელებს საზოგადოების ცნობიერების გათახსირებას. რატომ ამაზე არ საუბრობთ, თუ ფიქრობთ, რომ თქვენთვის ადრეა, ყოველივე ამის შეფასების დაწყებას ბიძგი მისცით?

(გაგრძელება მე-4 გვ.)

### ქართული ეკონომიკის შუქ-ჩრდილები, ანუ ვის ჯიბაში ჩაღის მილიონობით ლოლარი?!

საქართველოს ეკონომიკის შუქჩრდილები მის ხელისუფლებაში მოკალათებულ ზოგიერთ მოხელეთა და პარლამენტარის მადანება დამოკიდებული. აქვე უნდა დავსძინოთ: — მადანა ჯიბაში მოდის და შესაბამისად იზრდება ჩრდილის სიდიდე და სახელმწიფოს საგარეო ვალდებულება. ამ უკანასკნელმა კი მილიარდ დოლარს გადააჭარბა. ასე რომ, მომავალ თაობას ილია ჭაჭყაძის ლექსზე შექმნილი სიმღერის მღერა ამგვარად მოუწევს — „ჩემო კარგო ქვეყანო, რაზე შეგიძლია ამდენი მოუწევს — ჩემო კარგო ქვეყანო, რაზე შეგიძლია ამდენი მოუწევს“. დიხს, სამწუხაროდ, თქვენია. თუ რასაკვირველია, მომავალშიც ვინმემ მოგვცა ახალი კრედიტი.

ჩვენა საუბედუროდ, საქართველოს ჩრდილოვან ეკონომიკას უნიკალური თვისება აქვს — მოაჩნდა, მასში ყველაფერი იკარგება, იმალება და ბოლოს უკვალოდ ქრება, და არავინ არ ისჯება.

ჩრდილის ამ უნიკალურ თვისებას უნდა დავაბრალოთ, თორემ სხვა რას უნდა მივანეროთ, რომ 1997 წელს თურქეთიდან იმპორტირებული პროდუქცია საქართველოს საბაჟოს აღრიცხული აქვს 114,0 მლნ აშშ დოლარად, ხოლო თურქეთის მონაცემებით, იგი 173,5 მლნ აშშ დოლარია. ე.ი. სხვაობამ შეადგინა 59,5 მლნ აშშ დოლარი. სასაქონლო პოზიციის განხილვა გვიჩვენებს, რომ საქართველოს საბაჟოს ნაკლები აქვს დაფიქსირებული ისეთი საქონელი, როგორცაა: შოკოლადი — 11,5 მლნ აშშ დოლარით, მარგარინი — 6,6 მლნ აშშ დოლარით, საღებავები — 2,3 მლნ აშშ დოლარით, კვერცხი — 5,2 მლნ აშშ დოლარით და ა.შ. ამავნელს ესპანეთიდან შემოსული პროდუქცია ჩვენთან აღრიცხული 0,2 მლნ აშშ დოლარის ოდენობის ფარგლებში, ხოლო ესპანეთის ექსპორტი საქართველოში 2,6 მლნ აშშ დოლარის ღირებულება აქვს დაფიქსირებული. სხვაობა — 2,4 მლნ აშშ დოლარია.

გერმანიიდან იმპორტი საქართველოს აღრიცხული აქვს 40,0 მლნ აშშ დოლარს, ხოლო

გერმანიას საქართველოში ექსპორტი — 65,0 მლნ აშშ დოლარს. სხვაობამ შეადგინა 25,0 მლნ აშშ დოლარი.

დს-ს ქვეყნებთან პროდუქციის აღრიცხვაში დიდი სხვაობა შეიმჩნევა ექსპორტშიც, განსაკუთრებით რუსეთის ფედერაციასთან, რაც გამოწვეულია იმით, რომ პროდუქცია, რომელიც გადის საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტის სახით, საზღვარზე საბაჟო მიერ აღრიცხება, როგორც საქართველოდან იმპორტი, რომელიც რუსეთის ტერიტორიაზე სარგებლობს საქართველოსა და რუსეთს შორის დადებული „თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ შეთანხმებით გათვალისწინებული შეღავათებით, პროდუქცია რუსეთში ასევე ხვდება აფხაზეთის ტერიტორიის გავლით, რომელსაც საქართველოს საბაჟო ვერ აკონტროლებს.

1997 წლის მონაცემებით, სხვაობამ ექსპორტში რუსეთთან შეადგინა 75,8 მლნ აშშ დოლარი, ხოლო იმპორტი საქართველოს მხარეს 29,1 მლნ აშშ დოლარით ნაკლები აქვს აღრიცხული, ვიდრე რუსეთს ექსპორტში.

სომხეთში ექსპორტი საქართველოს მხარეს 13,6 მლნ აშშ დოლარით ნაკლები აქვს აღრიცხული, ხოლო იმპორტი სომხეთიდან საქართველოს 13,6 მლნ აშშ დოლარით მეტი აქვს აღრიცხული.

აზერბაიჯანთან იმპორტი საქართველოს 17,9 მლნ აშშ დოლარით ნაკლები აქვს დაფიქსირებული და ძირითადი განსხვავებები არის ნავთობში და ნავთობპროდუქტებში (9,1 მლნ აშშ დოლარით).

ზემოთასახული მაჩვენებლები ძირითადში გამოწვეულია კორუფციით, რაც აიძულებს ექსპორტიორს დაფაროს საქონლის ღირებულება და მოცულობა, რათა თავი აარილოს საქართველოში მოქმედ შიდა გადასახადების გადახდას. იმპორტიორი მსგავს დარღვევებს მიმართავს საბაჟო გადასახადისაგან, აქტივისაგან, დღეს და მოგებაზე გადასახადისაგან თავის არიდების მიზნით. იმპორტიორი ასევე სხვა სრუტეც მიმართავს, შემოტანილ საქონელს

მალავს მისი წარმოშობის გაყალბების მიზნით, რათა მისი დს-ს ქვეყნებში ექსპორტისას ისარგებლოს ამ ქვეყნებში ქართული პროდუქციისათვის ქონსტრუქციული შეღავათებით. ეს ტენდენცია გაგრძელდა 1998 წელსაც, რამაც ქვეყნის ბიუჯეტის დეფიციტი გამოიწვია.

საქართველოში აკრედიტებული უცხოელი ექსპორტები „ჩრდილოვანი ეკონომიკის“ ხვედრითი წილად მთლიანი შიდა პროდუქტის 40 პროცენტს ასახელებენ. ჩემი მოსაზრებით, ასეთი შეფასება კრიტიკულად არ უნდა იყოს მიღებული, ვინაიდან ამ მოვლენის ზუსტი მასშტაბის დადგენა საერთოდ გაძნელებულია, მითუმეტეს, საქართველოში. ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბები უფრო დიდია, ვიდრე ეს ექსპორტებს ჰგონიათ. ჩვენს „დემოკრატიულ ქვეყანაში“ უამრავი მენარმეა, რომელიც რეგისტრაციაში არ გატარებულია და გადასახადს არ იხდის, მათ მფარველობას უწევს სამართალდამცავი, მაკონტროლებელი ორგანოების უზნეო მუშაობა.

ასევე, დიდი შემოსავლები იკარგება მალაზიებიდან და ბაზრობებიდან, სადაც ვერ კიდევ ვერ ან არ მოხერხდა საკასო აპარატების დაყენება.

ჩრდილოვანი ეკონომიკას ხელს უწყობს ისიც, რომ იმ დარგებში, სადაც უნდა რეგულირდებოდა ფასები, ფაქტიურად არაფერი ხდება და არ კონტროლდება. მაგალითად, სამგზავრო ავტობუსებსა და რკინიგზის მოკლე მონაკვეთებზე, ირღვევა სატარო განაკვეთები, ბილეთები არ იყიდება, ძალზე უსუსტა აღრიცხვა, რის გამოც ბიუჯეტი კარგავს სოლიდურ შემოსავალს.


ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე ასევე უარყოფით ზეგავლენას ახდენს დს-ს ქვეყნებთან საზღვრების გამჭვირვალობა, რომელიც უცხოური ვალუტის გადინებასა და დაბალი ხარისხის, ზოგ შემთხვევაში, ორგანიზმისათვის საშიში (ხორცის კონსერვები) პროდუქციის შემოსვლის საფუძველია.

### ხმა ხალხიდან სინათლე... სინათლე... ანუ უხანუ მიჰვალავი ვინაფრო?

სინათლე — რაოდენ მრავლის მთქმელი გახდა ეს ერთი სიტყვა. როგორი მთავარი ძალა შეიძინა. დღეს უხელფასო, უზენსო გასაცოდავებული ხალხის ერთ-ერთი ბედნიერი წუთია სინათლის მოსვლა. სინათლის გამოჩენასთან ერთად, სიცოცხლის ხალისიც გვიბრუნდება. ბავშვების სიხარულს ხომ საზღვარი არა აქვს. ატეხენ ერთ ვივილ-ხივლს საოცნებო შუქს ანთებისას. ზამთარია, მთელ საქართველოშია სინათლის პრობლემა, ქალაქის ელიტარულ უბნებს თუ არ ჩავთვლით, სადაც „ფულიანი ბიძები“ ცხოვრობენ. მათ ბინებში ხომ ერთი წუთითაც არ ქრება სინათლე და მოკლებულნი არიან იმ სიხარულს, რასაც სინათლის მოსვლა იწვევს ჩვეულებრივ, მოკვდავ ხალხში. რა ქნას ხალხის იმ ფენამ, ვინც მთელი დღის განმავლობაში მუშაობს. საღამოს კი, როცა სახლში ბრუნდება, ნავთის შესაძენად ლარიც არა აქვს. ერთი თვის ხელფასსაც რომ ვერ უხდის მთავრობა და პურის ფულიც სასესხებელი აქვს?

გარეუბნებში კომერციული სინათლე. ვერ კაბელის ყიდვა საჭირო, მერე სახლამდე მოყვანაც მხოლოდ 200 ლარამდე დაგიჯდება. თან ყოველთვიურად 30 ლარი უნდა იხადო. სამაგლოდ, მთელი დღის განმავლობაში გექნება სინათლე და სთბო ოჯახში. ეს ბედნიერება ერთეულების ჯერა. სადარბაზოში შეიძლება ერთ ან ორ ოჯახს ჰქონდეს ეს ბედნიერება, ვინც ლარის შოვნის ნიჭითაა დაჯილდოებული. ასეულებით ადამიანიასავის სინათლე კვლავაც აუხდენელიცნებად რჩება. თელასის გაყიდვის მიუხედავად, ნეტავ ახალ წელს თუ მინც მოგვცემენ სინათლეს?

სადამდე დავეცი, რომ მიცვალვულს ნატრობს ხალხი უხანუ. პატრონი გამონახავს თანხას, რომ თელასში ჩაიტანოს და სინათლე ჩაართვეინოს. ნორმალური გრაფიკი რომ არ აღირსეს ხალხს და ხანდახან პირდაპირ წერებზე თამაშობენ. ჩართავენ, 15 წუთში გამორთავენ და შემდეგ, თუ გაახსენდათ, რომ ხალხი იქ ვერ კიდევ ცოცხალია, შეიძლება ჩართონ ერთი საათით. თუ არა და წერებდაწყვეტილი უნდა გაეშურო საწოლისაკენ. საღამოთ გახედო იმ ბინებს, სადაც ნათურები კაშკაშებს. სხვა მინც არაფერი დაგრჩენია, იძინე და იძინე... დათვიც ხომ ძილში ატარებს ზამთარს. ასე გვიპირებენ ცხოველის დონეზე დაყვანას. პრესის შესაძენ თანხაც მხოლოდ ერთეულებს აქვს. ინფორმაციის ერთადერთი წყარო ტელევიზიაა და ისიც უხედავად ჩაგვითვალა მთავრობამ. რაიონები ხომ უარს ეღვშია. ზოგან კვირებიც გარდის და ერთხელაც არ გაიყვება სინათლე. როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე? როდემდე?



ვახანი

მარიამ აკაფილაშვილი




# დემოკრატია და იდეოლოგია

საქართველოში, ხელისუფლების ინციატივით, ჯერ კიდევ წინა პარლამენტის დროიდან დაისვა კითხვა, რაკი ქვეყანა დემოკრატიის გზას დაადგა, გვეჩვენება თუ არა ქართველებს იდეოლოგია საერთოდ და, მით უფრო, ეროვნული იდეოლოგია. როგორც ასეთ დროს ხდება, გაჩნდნენ იდეოლოგიის მონინალდები და იდეოლოგიის მომხრენი. იდეოლოგიის მონინალდები იმ აზრად მივიდნენ, რომ ყველაგვარი იდეოლოგია დემოკრატიული საზოგადოების მოთხოვნებს ეწინააღმდეგება, დემოკრატიის იდეოლოგია არ სჭირდება.

იერთვალდებულება და პასუხისმგებლობა; 9. კლასობრივი ზავი, პარტნიორობა და ეროვნული თანხმობა; 10. ეფექტური სოციალური პოლიტიკა, რაც უზრუნველყოფს ცხოვრების ღირსეულ დონეს.

აქ ჩამოთვლილი პრინციპები შეიცავს იმ იდეების სისტემას, რაც აუცილებლად მოეთხოვება სამოქალაქო საზოგადოებად ყოფნაზე

საზოგადოება არ არსებობს მოქალაქეების გარეშე, მოქალაქეები კი — კანონის გარეშე მოქალაქეობის შესახებ. ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში, ისეთ არაეროვნულ ქვეყანაშიც კი, როგორცაა აშშ, კანონი მოქალაქეობის შესახებ ვერდნობა შემდეგ პრინციპებს: ყოველმა მოქალაქემ უნდა იცოდეს სახელმწიფო უნა, წარმოდგენა უნდა ჰქონდეს (თუ მეტი არა) მის კონსტიტუციასა და ისტორიაზე, პატრეს სცემდეს ქვეყანაში დამკვიდრებულ ტრადიციებსა და კულტურას, ემსახუროს ქვეყანას და დაიცვას ის... რა არის ეს თუ არა ეროვნული იდეოლოგია?



წინამდებარე წერილში გატარებული და დამტკიცებულია ის მოსაზრება, რომ დემოკრატია თავის თავში შეიცავს იდეოლოგიას, უფრო მეტიც, ეროვნულ იდეოლოგიასაც, როგორც სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის შემადგენელ ნაწილს.

ამოხაველ დებულებად მიჩნეულია მტკიცება, რომ ყველაზე დემოკრატიულად ითვლება ის სახელმწიფო, სადაც ხელისუფლება სამოქალაქო საზოგადოებას ეყრდნობა, მისგანაა არჩეული, ამ საზოგადოებისვე სამართავად.

საერთო აზრით, სამოქალაქო საზოგადოების ყველაზე ზოგადი და ტიპური პრინციპებია: 1. ეკონომიკური თავისუფლება, საკუთრების ფორმათა მრავალგვარობა, საბაზრო ურთიერთობანი; 2. ადამიანისა და მოქალაქის ბუნებრივი უფლებების აღიარება და დაცვა; 3. ხელისუფლების დემოკრატიული ხასიათი და მისი ლეგიტიმურობა; 4. ყველას თანასწორობა კანონისა და მართლმსაჯულების წინაშე, პიროვნების საიმედო იურიდიული დაცულობა; 5. სამართლებრივი სახელმწიფო, რომელიც აღიარებს ხელისუფლების დანაწილებას და ამ ხელისუფლებათა ურთიერთობას ეყრდნობა; 6. პოლიტიკური და იდეოლოგიური პლურალიზმი, ლეგალური ოპოზიციის არსებობა; 7. სტაბილურობა და პრესის თავისუფლება, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა დამოუკიდებლობა; 8. სახელმწიფოს ჩაურევლობა მოქალაქეთა პირად ცხოვრებაში, სახელმწიფოსა და მოქალაქის (პიროვნების) ურთ-

პრეტენზიის მქონე საზოგადოებას და, მაშასადამე, დემოკრატიულობაზე პრეტენზიის მქონე, ამ საზოგადოების საცხოვრის სახელმწიფოსა და მის მმართველ ხელისუფლებას. აქვე შეიძლება ითქვას, რომ ჩერჩილის თქმით, დემოკრატიული მმართველობა შორსაა იდეალურიდან, მაგრამ უტყუარად დღეისათვის არსებულთანაა. ჩერჩილის აზრის აქ მოტანას ის დანიშნულება აქვს, რომ აღინიშნოს: დემოკრატიული მმართველობა საუკეთესოდ შეიძლება იქცეს, როცა მე-10 პრინციპის მოთხოვნის სრულად ამოქმედებას შესძლებს.

თუ ზემოთ ნათქვამს შევჯამებთ, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ სამოქალაქო საზოგადოებას, იმ ქვეყანას, სადაც ასეთი საზოგადოება არსებობს, გარკვეული იდეოლოგიური საფუძველი გააჩნია და თავის მოტყუება იმის მტკიცება, რომ დემოკრატია იდეოლოგია არ სჭირდება.

ესლა იმის შესახებ, არსებობს თუ არა დემოკრატიულ საზოგადოებაში და ქვეყანაში ეროვნული იდეოლოგია.

ზემოთ ითქვა, რომ ყველაზე დემოკრატიულია ქვეყანა, სადაც სამოქალაქო საზოგადოება არსებობს. თუ ეს ასეა, სამოქალაქო

მიუღობ, რომ საქართველოს ყოველმა მოქალაქემ (ეროვნულობისაგან დამოუკიდებლად) უნდა იცოდეს ქართული ენა, წარმოდგენა უნდა ჰქონდეს საქართველოს კონსტიტუციასა და ისტორიაზე, პატრეს უნდა სცემდეს საქართველოში დამკვიდრებულ ტრადიციებსა და ქართულ კულტურას, უნდა ემსახუროს საქართველოს და დაიცვას ის... საქმე ისაა, რომ არაეროვნულ ქვეყანაში ეს სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის ხასიათს იღებს (თუცა აშშ-იც იხმარება ტერმინები: ეროვნული ინტერესები, ეროვნული პროდუქტი, ეროვნული შემოსავალი და ა.შ.), ხოლო ეროვნულ ქვეყნებში მას შინაარსითა და ფორმით ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ხასიათი აქვს.

იმის მაგალითად, რომ დემოკრატია გულისხმობს იდეოლოგიის არსებობას, ევროკავშირი გამოდგება ევროკავშირი დემოკრატიულ ქვეყნების კავშირია, მაგრამ ეს მას ხელს არ უშლის იდეოლოგიური მოთხოვნები დაუყენოს იმ ქვეყნებს, ვისაც ამ კავშირში გაწევრება სურს. თუ წაყენებულ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს, ქვეყანას კავშირი არ ღებულობს. ასეთი ქვეყნის მაგალითი თურქეთია.

რეზა ხალია

# სიტყვა სხვა, საქმე სხვა, ანუ ორი შუკითხვა "ოტარიდელს"

ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილ საიუბილეო ზეიმზე ზუგდიდში სიტყვა წარმოუთქვამს საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს თამაზ ნივნივადს. იგი გვიპრდებო: „ქართული მწერლობა ყველაფერს გააკეთებს საიმისოდ, საქართველოს უკლებლივ ყველა მოქალაქე რომ შეარგოს და გააერთიანოს“.

ცოტა ხნის შემდეგ „ლიტერატურულ საქართველოში“ (რომლის რედაქტორია თ. ნივნივადი) გამოქვეყნდა მწერალთა კავშირის განცხადება „ოტარიდის“ (რომლის დამაარსებელია თ. ნივნივადი) განცხადება. განცხადებაში ნათქვამია:

„ის, რაც ქართულ მწერლობაზე სულითა და გულით შეყვარებული პრეზიდენტის დროს აკადრეს ჩვენს მწერლებს, მწერლობის სიძულვილში ბრალდადებული ექსპრეზიდენტის დროსაც არ ექსადრებიოთ“ („ლიტ. საქ“, 1998, №48).

ბატონო თამაზ! ორი პრეზიდენტის ასეთი უკუღმართი დაპირისპირება „შეროგებასა და გაერთიანებას“ უწყობს ხელს თუ პირიქით? „ქართული მწერლობა“ ამას უნდა აკეთებდეს!

მეორე შეკითხვა მაქვს „ოტარიდის“ წევრებთან: ვეკითხები ანა კალანდაძეს, მურმან ლებანიძეს, თამაზ ჭილაძეს, ოთარ ჭილაძეს, გურამ დოჩანაშვილს და სხვებს: ქალბატონო ანა, ბატონო მურმან, ბატონო თამაზ, ბატონო ოთარ, ბატონო გურამ! თქვენ მართლა გჯერათ, რომ ერთი პრეზიდენტი, რომელსაც „ვეფხისტყაოსანი“ არ წაუკითხავს, „მწერლობაზე“ სულით და გულით შეყვარებულია, ხოლო მეორე, რომელმაც დანერგა 350 გვერდიანი წიგნი — „ვეფხისტყაოსნის სახსრებზე“ მწერლობის მოძულეა? ყველას ძალიან გვაინტერესებს თქვენი აზრი.

მასტანა ბაიკია

**ტიპიური მიზანების გამო ამ ნომარში ვერ მოხერხდა პრეზიდენტის ორგანიზაციის რადიონტარპიუზი კომენტარის გამოქვეყნება. მოგვალ ნომარში აუცილებლად შემოგთავაზებთ ჩვენს ტრადიციულ კომენტარს პრეზიდენტის 14 დეკემბრის რადიონტარპიუზი, რომელიც ყოველსომცველი იქნება და დეტალურად გააჩვენებს პრეზიდენტის ნაუბარში მართლმსაჯ, ტყუილსა, დემაგოგიასა და ილუზიებს.**

**რედაქცია**

# ნადით, ნადით... ქართულ პოლიტიკაში დემაგოგებობისათვის ადგილი არ იქნება! ღია წერილი აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძეს


(შე-2 გვერდიდან)

რა თქმა უნდა, არა, მაგრამ ყმობისადმი ნოსტალგია, თუ თქვენთვის უახლოესი ადამიანების გაჭყლეტის შიში, ამის საშუალებას არ გაძლევთ.

ქართული საზოგადოების უმრავლესობა რომ პოლიტიკურად ინერტულია და ქვეყნის ბედი მავანსა და მავანს ფეხებზე ჰკიდია (უკაცრავად უხეში გამოთქმისათვის), ესეც „მონური მენტალიტეტისა“ და ათასი სხვა სოციალისტური რუდიმენტის გავლენის „დამსახურებაა“. სწორედ თქვენნიარო, „დიდი“ ადამიანების მიერ გაკეთებულმა უპასუხისმგებლო განცხადებებმა გამოიწვია უიმედობა და საერთო ჯამში, ჩამოყალიბებული არასრულფასოვნების სრულფასოვანი კომპლექსი. ღმერთმანი, არ მინდა ეს წარმოვიდგინო, მაგრამ, რაც არ უნდა ძნელი წარმოადგენი იყოს, ფაქტია, ეს ჭირი ნამდვილად გვჭირს, ამის თქმის საფუძველს თქვენი ინტერვიუც მაძლევს.

დრო, გაივლიდა და გულუბრყვილოდ აღარ მიენდობ ხელისუფლების მაღალი იერარქებისაგან გადმოგდებულ სატყუარებს, მათ შორის, ყბადღებულ სტაბილიზაციას ნუ დავაიმედებთ, რადგანაც იგი მოწინააღმდეგეა და ღმერთმა იცის, როდის აივსება ხალხის მითმინების ფიალა. ყოველივე ეს საშუალოა, მაგრამ ფაქტია და მე პირადად არ შემიძლია პირ-

ში წყალი ჩავიგუბო, რადგანაც ტკბილ ტყუილს ათასგზის მწარე ჩვენი სინამდვილის ხმა მალდა თქმა მირჩევნია. მითუმეტეს, როცა ქვეყანაში სტაბილურობაზე საუბრობენ და პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულება, სოციალური პოლი-



ტიკა, საერთოდ არ არსებობს, სოციალური დესტაბილიზაციის ფონზე, სამარცხვინოა, საერთო პოლიტიკურ სტაბილურობაზე ისაუბრო. ამ უკანასკნელი თავის მოტყუება მხოლოდ იმით აწყობთ, ვინც მაღალ თანამდებობაზე მოქალაქეებულა და კორუფციით ჩასუქებული უკანალებით ათობს „პრესლოებს“, თქვენ კი, ქალბატონო მარიამ, უკანასკნელი ნაძირალის გარდა, ამათ რიგებს ვერავინ მიგათვლით.

გაიღვიძეთ, გამოფხიზლდით, ერთად დგომა გვეჩვენება დღეს

ქართველებს, ჩვენი ბედის გასადგობი ჩვენიად დღეს და ფუჭად კარგავთ დროს, თუ მას რუსეთში ან გერმანიაში ეძებთ. უპირველესად, ჩვენ უნდა მოვავაროთ ჩვენი გასაჭირი, რა თქმა უნდა, მეზობლების დახ-



მარებაც არ გვანყენს, მაგრამ ეს ყმობისა და მონობის სანაცვლოდ არ უნდა მოხდეს, რამეთუ, „რალა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია“.

დღეს, მაშინ, როცა თითქოს ერთმა დეგენერაცია განიცადა, ძალი აღარ ქალობს, კაცი აღარ კაცობს, ახალგაზრდობის მცირე ნაწილს სქესი აღარ ეტყობა, ქვეყანა „დახურდა“ და ათასი უბედურება გვეჭირს, გულს გვიღრღნის კითხვა — რით ვუშველოთ ქვეყანას, რა ვიღონოთ? ვიდგეთ, ვიდგეთ და

თვალეში შევცივინოთ ჩვენს „მამა მარჩენალს, არქიფოს“, იქნებ „პოლიბრონიონის“ მიმღებლებმა მოწყალეობა მივიღოთ მისგან, თუნდაც ეს ენის, მამულისა და ჩვენი თვითმყოფადობის დაკარგვის ფასად დაგვიჯდეს, თუ

განაც მეტი გზა არ არის. მე კი მგონია, რომ არც ვინმეს დაკრულზე ეშვება გვეჭირდება და არც არქიფოს წინამძღოლობა წინამძღოლი გვეჭირდება მხოლოდ წინამძღოლი, რომელიც არავისტ და არაფრისტი არ იქნება და შეძლებს გახლჩილი საქართველოს გატეხილი გულის გამოთლიანებას. მაგრამ ამის შემდეგ რა ეშველება თქვენს დედს „ერის მამებს“? დედა მათი განკითხვის დღე, ხალხი არ გააპტებთ ამდენ ტყუილსა და გაიძვრობას, არ გიშველით მსოფლიო პოლიტიკოსობა, არც ხალხის ნაოფლარით კომპაგნებულ ერისკაცებს მიუტევენ ყველაფრის მიმტევებელი ქართველები. გემინოდეთ, თქვენ ალასარულის დასაწყისი დადგენათვის, ნადით, დემოგოგებისათვის ქართულ პოლიტიკაში ადგილი აღარ იქნება.

თქვენ კი, ხალხო, მანამდე გაიღვიძეთ, სანამ ახალი „არქიფო“ არ მოსულა და მთლად არ დაგუძვევით, ისედაც ნუცეულები. ნავა „არქიფო“, „პოლიბრონიონის“ მომღერლები უკან გააყვებიან, მაშ ვის — იგორებს ჩვენი ბედის მობალი? — არა, ორივე შემთხვევაში ქვეყანას პატრონი სჭირდება და იგი, ქალბატონო მარიამ, თქვენგან განსხვავებით, საქართველოშივე უნდა ეძებოთ და არა ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

კობა აბანაძე

ბულაბარ კლარჯი

ქართულთა მეფე ბაგრატ მეორე რეპრეზენტატიული და საქართველოს დემოკრატიული ხელისუფლება

(მე-3 გვერდიდან)

ცხადია, საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება მიუღებელი იყო ერთმორწმუნედ გამოცხადებული ბიზანტიის იმპერიისათვის (ამ მხრივ იგი რუსეთის იმპერიის წინამორბედს წარმოადგენდა საქართველოსთან ურთიერთობაში) და იმპერატორმა ბასილ II ბულგართმუსურებელმა განიზარაზხა მამა-შვილის, ბაგრატ III-ისა და გურგენის უკმაყოფილო მოღვაწეობა ჩაფუშმა, ნაეკიდებინა ისინი ერთმანეთისათვის. ამ მიზნით 1000 თუ 1001 წელს ბასილმა მეფე ბაგრატ III-ს უფრო მაღალი ხარისხის ტიტული, კურაპალატობა მიანიჭა, ვიდრე მამამისს, გურგენს. მეფეთა მეფე გურგენისთვის მხოლოდ მაგისტროსობა გაიმეტა იმპერატორმა (ბიზანტიური ტიტულების ქართველი მეფეებისათვის მინიჭებას საუკუნოვანი ტრადიცია გააჩნდა). ბასილმა ამით ბაგრატ III-ისა და გურგენის დაპირისპირება ვერ შეძლო, რადგან გურგენს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ თავისი დიდი წვლილი შეეტანა საქართველოს გაერთიანების საქმეში. მოუსწონით ქართველ მემატიანეს, სუმბატ დავითის ძეს: „მოსცა მათ ბასილი მეფემან პატივი — გურგენს მაგისტროსობა და ბაგრატს კურაპალატობა, რათამცა ვითარ მტერე ყენა ერთმანერთისა მიმართ მამა-ძენ ესე, და ამით ღონითა იმძაფრა (ივერია — გ. კ.) ხოლო გურგენ ქვეშაობით და მართალი (მტერე ვარიანტით — წრფელი — გ. კ.) იყო და ვერა აღძრა გული მისი ზაკვითა ამით მიზეზითა და ვერა უძლო ღონისძიებოთა.“

ცნობილია, რომ ბაგრატ III არ ინდობდა თავის იმ ნათესავებს, რომლებიც წინ ელობებოდნენ საქართველოს გაერთიანების დიად საქმეს. ბაგრატ III-მ „მოიყვანა კლარჯნი ხელმწიფენი სუმბატ და გურგენ, ძენი ბაგრატ არტანუჯელისანი, თვისნი მამის დისწულისანი, დარბაზობად მის წინაშე ციხესა შინა ფანასკერტისასა, და მუნ შინა შეიპყრნა ივანი. და აღიზნა ქუყანანი და ციხენი მათნი, რამეთუ ივანი პატიმარი ყენა ციხესა შინა თმოგვისასა. და მუნ ციხესა შინა თმოგვისასა გარდაიცვალა სუმბატ არტანუჯელი... და ეგრეთვე მასვე წელსა შინა გურგენცა გარდაიცვალა, ძმა სუმბატისი... ხოლო შვილი ამათნი წარვიდეს კონსტანტინეპოლად, ძე

(მე-3 გვერდიდან)

ქუყნები (ჩინეთი, ისრაელი, პოლანდია, დანია, ნორვეგია, ჩვენი მეზობლები დიდი რუსეთი და სომხეთი) დიდი ხანა საბაზრო ეკონომიკაზე გადავიდნენ, მაგრამ მინას არ ყოფიან... საქართველო მცირე მიწისანი და პატარა ქვეყანაა, ამიტომ ამის დაშვება არ შეიძლება.“

— „რას ვუბნებთ ჩვენს მომავალ თაობებს, მათ ხომ კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობა შეექმნება?“

— „საბჭოთა კავშირის არცერთი ყოფილი რესპუბლიკა მინას არ ყოფის. ამასთან, სანამ საქართველოს იურიდიცია არ ფრცვლდება აფხაზეთისა და სამაჩაბლოში, მინით ვაჭრობა დაუშვებელია.“

— „პარლამენტი და აღმასრულებელი ხელისუფლება ირწმუნება, რომ რეფორმის გატარებას, კერძოდ, საკუთრების შემოღებას და მინის სასაქონლო ბაზრებში მოქმედების კატეგორიულად მოითხოვენ: მსოფლიო ბანკი, გაერო და საერთაშორისო ფონდი. სინამდვილეში ვითარებაა: მესაკუთრეობის საუკეთესო ფორმა ყიდვაა, მაგრამ ხანგრძლივად იჯარაშიდან 50 წლამდე... თითქმის იგივე მიზანს მიადევს, რაც მინაზე კერძო საკუთრება“, აღნიშნულია მემორანდუმში.“

სუმბატის ბაგრატ და ძე გურგენის დემეტრე, ბასილი მეფისა წინაშე, და მათივე შვილი კლარჯთა მეფეთანი რომელ დაშთეს ამათ ქუყანასა, მოიწინეს ყოველი სიკუდილითა პატიმრობასა შინა.“

მართალია, ბაგრატ III თავის რეგენი პაპა არ დაუბაძირებია, მისთვის ციხეში არ ამოუხდია სული, მაგრამ აშკარაა, რომ საქართველოს გამაერთიანებელი ბაგრატ III ბაგრატ რეგენის საქციელით, მისი პოზიციით უკმაყოფილო იქნებოდა. აქედან გამომდინარე, საფიქრებელია, რომ საქართველოს ერთიანობის მომხრე ძალებმა ბაგრატ მეორეს რეგენი უწოდეს მისი უგუნური მოქმედების გამო.

ისტორიამ არც დავით აღმაშენებლის მამა, საქართველოს მეფე გიორგი II დაინდო. მართალია, მას მეტისმეტად რთულ პოლიტიკურ ვითარებაში მოუხდა მოღვაწეობა, მაგრამ მაინც მეტე გამჭრიახობა, შემართება, მღუღარება სულსაი მართებად დავით აღმაშენებლის მეისტორიე მოგვითხრობს: სამხრეთ საქართველოში მყოფ გიორგი მეორეს თავს დასხმა თურქ-სელჩუკთა ურდო. „აოტეს გიორგი მეფე და სპა მისი ურცხვი“. ბარბაროსებს (ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, „სადაც-კი თურქები გაჩნდებოდნენ, ყველგან მათის მოღვაწეობის ძეგლად უადრესი ბარბაროსობა, გახსრებული და გადამუშავი ქუყნები რჩებოდა“) დიდძალი ნადავლი უგდიათ ხელთ და უკან გამბრუნებულან, გზად მათ შეხვედრათ თურქ-სელჩუკთა მეორე ურდო, რომელიც საბერძნეთის (ბიზანტიის) მოთარეშებას აპირებდა. ამასობაში „გიორგი მეფე წარვიდა მეოტი აჭარით აფხაზეთად“. საქართველოდან მიმავალი ურდოს თავაკაცებს უთქვამთ შემხვედრი ურდოს მესვეთათვის — „რად წარხვალთ საბერძნეთად? ამა ქუყანა საქართველო, უკაცური და სასვე სვეთათართა სიმდიდრითა.“ აქ აშკარაა გიორგი II-ის კრიტიკა. მიუხედავად შექმნილი მძიმე

პოლიტიკური მდგომარეობისა, თუ მეფე მეფობდა, ხელმწიფობდა, საქართველო უკაცური არ უნდა ყოფილიყო იმ დროს, დიდი თურქობის დაწყებამდე მინც. გიორგი მეორე იძულებული გახ-



და ხლებოდა თურქ-სელჩუკთა სულთანს, დამორჩილებოდა მას. სულთანმა გიორგის „მოსცა კახეთი და შერეთი, გარნა ხარაჯა ითხოვა სამეფოსა მისისა, რომელსა აიღებდეს უამთა მრავალთა... გაგზავნა თვისად სამეფოდ და წარმოაყვანა სპანი დიდნი, რათა წარვლონ გზა მშვიდობისა და რათა აართვან კახეთი. და უამთა სთულისასა მოვიდეს კახეთად და მოადგეს ციხესა ვეფრისასა და, ვიდრე ბრძოდეს, მოვიდა თოველი.“

ხოლო მეფესა გიორგის მოეხსენა ნადირობა აფაშეთისა, არღარას ზრუნვიდეს სხუასა, არცა ელოდა აღებასა ვეფრისასა და კახეთისა, არამედ ლაშქართა თურქთასა, რომელ ჰყვა, მისცა ნიჭად (ნიჭი ამ შემთხვევაში საბოძვარს ნიშნავს — გ. კ.) სუვეთი და ყოველი ქუყანა იორის პირი კუსეთი, რომელი მოიხრდა მუნ დღიერებად დღემდე“ დავით აღმაშენებლის მემატიანის თხზულებზე დამყარებით ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა: სულთანისაგან „განდიდებული“ გიორგი მეფე შინ დაბრუნდა; აქვე ეხლა „ნაწყალობვი“ შერეთ-კახეთის აღება იყო;

კახთა მეფე ხომ ნებაყოფლობით არ დაუთმობდა თავის სამფლობელოს? მელიქშაჰმა გიორგი მეფეს „წარმოაყვანა სპანი დიდნი“, რომ მათის დახმარებით კახთა ბატონს „წარართვან კახეთი“. გიორგი მეფეს უნდა მოეფიქრა, რომ ამგვარი ხერხი და საშუალება საქართველოს გასაერთიანებლად სრულებით უფარგისი იყო და სახიფათო. მას უნდა გაეთვალისწინებინა, რომ ამ ბრძოლაში უცხო სახელმწიფოს გარევე ქვეყანას ხერხს არ დააყრდა, აჭარისავე იარაღით კახთა მეფესაც შეეძლო აეტება გაერთიანებული საქართველოს ბატონისათვის იმი და მათა შორის მტრობა და სძულელი ჩამოეგდო. გიორგი II ამ უგუნურმა საქციელმა ისე დაეცოქნა ციხელი საქართველო დიდს განსაცდელში ჩააგდო.

„უამთა სთელისასა“ გიორგი მეფე თავისისა და თურქთა მეშველ ჯარითურთ კახეთს მივიდა... მოვიდა თოველიც. აქ-კი გიორგი II გასაოცარი დაუდევრობა და ქარაფშუტობა გამოიჩინა: მას „მოეხსენა ნადირობა აფაშეთისა“... რასაკვირველია, ეს თურქთათვის შესაქმელად მიცემული საქართველოსკუთხე გატიალდებოდა... იგი „დავით აღმაშენებლის მეფობაში აცველარ გამოზრუნებულა გიორგი მეფის პოლიტიკურმა სიბეცემ თავისი შხამინა ნაყოფი გამოიღო. თუ საქართველოს ბატონს კახეთ-შერეთის დაპყრობა მელიქშაჰის წყალობით ჰყოფდა, კახთა მეფემაც იმავე გზით თავისი საქმის გამოკეთება მოინდომა. ადვილადაც მიაღწია თავის ნადილს, მას მხოლოდ უფრო მეტი მსხვერპლის შეწირვა დასჭირდა, — და ასევე უნდა მომხდარიყო, რაკი ქართველთა მოქმედებებმა ასეთი სახიფათო გზა აირჩიეს. გიორგი II-ისაგან შეგინორებული კახთა მეფე აღსართანი მელიქშაჰთან წავიდა“, მიაღწია სანადვლს, მაგრამ ამის სანაცვლოდ მაშამადიანში მიიღო. ზოგიერთი მკვლევარის აზრით,

გიორგი მეორის მეფობის ივ. ჯავახიშვილისეული შეფასება ზედმეტად მკაცრია. შეიძლება ეს ასე იყოს, მაგრამ ივ. ჯავახიშვილისეული შეფასება ძირითადად მაინც სწორია და სამართლიანი. „ბულაბარნი სინანულისანი“ ავტორის, დავით აღმაშენებლის მამის უსაფუძვლოდ გაკილვას დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ვერ იკადრებდა.

ისტორია არც საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას დაინდობს. უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფ ამჟამინდელ საქართველოს, ქართველ ახალგაზრდობას, ჯერაც აკვანში მხოლოდ ქართველ ჩვილებს მხოლოდ ქართული სულის აცოცხლება, აღზევება იხსნის. ამისათვის ხელსაწყოა არაფერს აკეთებს, რადგან იგი თავისი არსით არაფერს ნიშნავს. უფრო მეტიც, თუ 1988-91 წლებში აშკარად შეიმჩნეოდა ჩაკლული ქართული სულის მკვდრით აღდგომა, საქართველოს დღევანდელმა ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა ქართული სულის კვლავ ჩასაყვად და მიზანსაც მიაღწია. მას რატომღაც არ უნდა შეეგნოს, რომ დაქვევანი საქართველო სამშობლოსათვის თვდადებულმა ქართველებმა უნდა გადაარჩინონ.

ხელისუფალნი! მართალია, დღეს ცა ქუდად და დედამინა ქალამნად არ მიგაჩნიათ, ქართველს ქართული სული ამოაცალეთ ჯერ 1988 წლამდე და შემდეგ 1992 წლიდან მოყოლებული, მართალია, სულამობლივი ქართველი დღეს შავს და თიერს ერთმანეთისგან ვერ არჩევს (გის-აროდეთ!), მაგრამ გემწოდეთ ისტორიის სამსჯავროს, რომელიც არავის (არც ვაი-ინტერნაციონალისტებს) არაფერს შეარჩენს, ყველას ღირსებისამებრ მიუზღავს. ისტორიის სამსჯავრო არ გაპატიებთ ჩვენი სამშობლოს ჩაგდებას სულთმობრძავის მდგომარეობაში, საიდანაც იგი ასე ადვილად ვეღარ გამოზრუნდება!!!

იუსტიციის მინისტრმა მწარლად „დაპოვი“ ჩააყენა“ და სახელმწიფო მინისტრის განცხადებისას ახალ კანონებს გზავს დაულოცა


ქართ (2 მოსმენი?! კიდევ მიიღეს და 12 ნოემბერს გაზეთშიც გამოაქვეყნეს. აი, ისინი:

1. „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ.“

2. „ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ.“

გულახდილად რომ გითხრათ, კანონების გაცნობის შემდეგ ისეთივე მძიმე მორალური განცდები დამეუფლა, როგორც 1991-92 წლებში თბილისის შემდეგ აფხაზეთის ბრძოლების დანაშაულის, მსველეობის, დასრულების და მათი სავალალო შედეგების დროს. დასასრული აღარ უჩანს ხელისუფალთა „ბრძნულ“ ნაბიჯებს. ჩემი თვალთახედვით და ინტუიციით, ყოფნა-არყოფნის ზღვარზე დადა ქვეყნის და ერის მომავალი, ძალიან მინდა აშჯერად მაინც მე ვცდებოდე.

ვებთან“ (მადლობა ღმერთს, რომ საქართველოში ჯერ კიდევ მოიძებნება ისეთი მამულიშვილები, რომლებსაც განაჩნიათ შინაგანი ძალა, რათა ქვეყნის და ერის გადარჩენისათვის ზრუნვას არ შეეშვან — გ. უ.).



— „მე არ შევეცდები მინის კერძო საკუთრების მნიშვნელობისა და აუცილებლობის დასაბუთებას. ამას (იმართვის ავტორები მაინც ვერ არ) გაიგებენ“. (განა ერისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის კანონები ისე არ უნდა იწერებოდეს, რომ ყველასათვის გასაგებ და მისაღები იყოს ან ერის ბედს სამომავლოდ არ ხელჰყოფდეს. — გ. უ.).

„მე არა მგონია, რომ ეს იყოს საზოგადოების უმრავლესობის აზრი“ (ისევე „უმრავლესობა“ და განა ამ უმრავლესობას ვინმემ კანონწარმოქმნი ნარუდგინა განსჯისათვის, ან იქნებ უმრავლესობაში ბატონი მინისტრი ქვეყანაში უხვად მყოფ „ჯაყ-იებს“ გულისხმობს? — გ. უ.).

— „არც მათი კვალიფიკაცია და არც მათი პროფესიული თვისებები არ იძლევა იმის საფუძველს, რომ მათ ჰქონდეთ ამ თემაზე მსჯელობის და მითუმეტეს, კანონის განხილვის უფლება“. (უფლებათ? დღემდე დიდებული, თვალბს არ ვუჯერებდი, რომ ვკითხვოდა, იქვეყნის იუსტიციის მინისტრი აცხადებს: ადამიანს, მოქალაქეს, საზოგადო მოღვაწეს, თავისი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს თემებზე მსჯელობის, კანონის განხილვის უფლება არ აქვსო, სწორედ ასე რომ ფიქრობს დღევანდელი ხელისუფლება პრეზიდენტადან მოყოლებული ბოლომდე, ამიტომაც ვართ კარგ დღეში და ამიტომაც ჩვენივე ხელეობი ვანგრევთ ჩვენს ქვეყანას. გახვეული ვართ ფორმალური დემოკრატიის და ფორმალური სამართლებრივი სახელმწიფოს შენების ლოზუნგებში, რომლის გზა მხოლოდ და მხოლოდ მონოკრატია-ბული მიმართება და არაფერი აქვს საერთო ნამდვილ დემოკრატიათთან, ქვეშაობით დემოკრატიათთან — გ. უ.).

იხილებოდა მწერალთა კავშირში“. (სასაცილო კი არა, სატირალია, როცა ქვეყნისთვის ესოდენ დიდი მნიშვნელობის კანონები, ისეთები, როგორიცაა შემოღებასა დასაბუთების, არ განისჯება ქართველ მწერალთა მიერ და მის საკრებულოში — გ. უ.).

აქ კი დიდი ილია უნდა დამეხმაროს:

„შენს ძარღვის ფეთქვას მე ყურს ვუგდებ სულგანაბული, ღამე თენდება ჩემთვის ეგრეთ და დღე ღამდება...“

იუსტიციის მინისტრისაგან აღარ მიკვირს, მიკვირს მხოლოდ საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის, ბატონ თამაზ ნინგვაძის, რომელიც ხელისუფლების წარმომადგენლის თითის დაქვევას ასე უბრალოდ დაემორჩილა. მასსოვს ის დრო, როცა „დეპოში“ აღმოჩენილებს ბატონი თამაზი იქ დაყოვნების უფლებასაც კი არ აძლევდა. დღეს კი თავად ჰქვირდები, ფურნალისტური ფურსულში ჩაბმული გოგობიჭები ყოველ ცისმარე დღეს მწერლობის ღანძღვა-გინებით რატომ იწყებენ.



გამოხმაურება

აკად. გ. მელიქიშვილი - მსოფლიოს გამოჩენილი ისტორიკოსი-ურარტოლოგი

გ. ყორანაშვილის ერთი კუბლიკაციის გამო

(შენ გვერდიდან)

при этом допущены ошибки и кроме того перепутаны строки; "Надпись №16... списана у Никольского... тоже с ошибками"; "Надпись №17 списана у Сейса... Таких примеров можно привести множество" (С.7).

ამის შემდეგ, აკად. გ. წერეთელი განიხილავს შემთხვევებს, როცა ურარტული ცალკეული სიტყვები არასწორადაა წაკითხული და ასკვნის: პ. უშაკოვი რომ გაცნობილია ნაშრომს — „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ურარტული ძეგლები“, ამ ტექსტებს შეცდომებით აღარ წაიკითხავად, ერთი წარწერის განხილვისას კი, პ. უშაკოვმა გაიგებინა ინგლისელი მეცნიერის (—გულისხმება ა. სეისი —) ყველა შეცდომა, რომლებიც გასწორებულია ჩვენს წიგნში (გვ. 8). აკად. გ. წერეთელი იქვე დასძენს, რომ მან საჭიროდ ჩათვალა პ. უშაკოვისათვის მიეთითებინა ამის შესახებ პირადი საუბრისას, ოფიციალური რეცენზიის დანერგვამდე. პ. უშაკოვს მაშინვე შეუდგენია დამატებითი ახსნა-განმარტება თავისი კომენტარებისათვის, მაგრამ მასშიც შეცდომები დაუშვა.

პ. უშაკოვის ამ ახსნა-განმარტებასთან დაკავშირებით, აკად. გ. წერეთელი რეცენზიის გვ. 11-ზე წერს, რომ პ. უშაკოვს, როგორც ჩანს, არასაკმარისი შესწავლია არა მარტო გ. წერეთლის ნაშრომი, არამედ ნოკლსის, ი. მეშჩანინოვის, ი. ფრედრიხის ნაშრომები, წინააღმდეგ შემთხვევაში, პ. უშაკოვი აღარ გაიმეორებდა ინგლისელი მკვლევარის შეცდომებს.

იქვე აკად. გ. წერეთელი განაგრძობს: „Думаю, сказанного достаточно, чтобы убедиться, что автор не умеет читать урартские тексты и предлагаемые им чтения основаны на сопоставлении разных текстов, изданных в транскрипции...“ (с. 11-12) „Автор делает иногда очень произвольные сопоставления урартских слов о индоевропейскими“ (с.12) „Автор обнаруживает большое знание в библиграфии, большую начитанность в области современной научной литературы, но он тонет в этой литературе и в нужный момент не в состоянии соответственно ее использовать“ (с.16).

ამის შემდეგ აკად. გ. წერეთელი მიუთითებს პ. უშაკოვის ნაშრომის ზოგიერთ ღირებულებაზე (ურარტული ენის შესწავლის ისტორია დისერტაციაში კარგადაა გადმოცემული. განხილული ტექსტების ნაწილი პ. უშაკოვს საკმაოდ სწორად აქვს გადარწმუნებული — ხაზგასმაც ჩვენს —) ცალკეული ავტორებისაგან. ურარტული ტექსტების სწორი წაკითხვის დროს, თარგმანზე სწორად აქვს მოცემული და სხვ. გვ. 16-17).

მაგრამ აღნიშნავს შემდეგაც: „Но эти достоинства труда П.Н. Ушакова не заслоняют его отрицательную сторону и не позволяют мне заключить, что автору удалось справиться с поставленной перед собою задачей... Главным недостатком работ П.Н. Ушакова, по моему мнению, является то, что он не умеет ограничивать сферу своего исследования задачами, которые ему доступны... Во всем этом сказывается отсутствие научной школы“ (с.18).

რეცენზიის დასასრულს, აკად. გ. წერეთელი გამოთქვამს გაკვირვებას, რომ პ. უშაკოვის ნაშრომი ფილოლოგიურ-ლინგვისტურ ხასიათს გამოკვლევას, წარდგინილი არის ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. ამის შემდეგ იგი ასკვნის: „В силу сказанного ясно, что если на вопрос о том, достоин или нет П.Н. Ушаков за представленную работу... ученой степени доктора исторических наук я отвечаю положительно, это не будет соответствовать тем выводам, которые естественно напрашиваются при детальном и беспристрастном изучении его труда“ (с.18).

ამგვარად, აკად. გ. წერეთელსაც უარყოფითი შეფასება მიუყვება პ. უშაკოვის სადოქტორო დისერტაციაში. აკად. ს. ჯანაშიას შენიშვნების და აკად. გ. წერეთლის რეცენზიის მიხედვით თუ ვიკითხავთ, საიდანაც ნათელი ხდება, თუ როგორი მაღალი პროფესიული დონის ურარტოლოგი — ეს ბ-ნ ყორანაშვილის სიტყვებია — ყოფილა პ. უშაკოვი, ძნელი დასაჯერებელია, საერ-

თოდ შემდგარყო პ. უშაკოვის დისერტაციის დაცვა. მხოლოდ ამით უნდა აიხსნას, რომ არ შემოინახა არავითარი დოკუმენტი პ. უშაკოვის მიერ სადოქტორო დისერტაციის დაცვისთან დაკავშირებით, რაც ძალიან აკვირებს ბ-ნ ყორანაშვილს. სწამს, პ. უშაკოვის დისერტაციის დაცვა საერთოდ არ შემდგარა.

საოცარია, რომ ასეთი დონის ურარტოლოგი (ე. პუშაკოვი) ურარტულ ზმნასთან დაკავშირებით, აკრიტიკებდა 30-იანი წლების გამოჩენილ ურარტოლოგს საზღვარგარეთ მოღვაწე მიხეილ (მიხაკო) წერეთელს, რომლის შესახებ პ. უშაკოვი თავის დისერტაციაში წერდა: „Вообще попытки разъяснения урартского глагола М.Церетели в работах 1933 и 1934 годов - неудачны и явились шагом назад в области урартологии“ (დისერტაცია, გვ. 79).

ახლა გავცნობთ ურარტულ ზმნასთან დაკავშირებით აკად. გ. მელიქიშვილის აზრს: „XX საუკუნის ოციან წლებში იოჰანეს ფრედრიხი და ალბრეხტ გიოცე ხაზს უსვამდნენ, რომ ურარტოლოგიაში ახალი ეტაპისკენ გზის გავლევა მათ მიხედვით წერეთელმა უჩვენა ურარტული ზმნის თავისებურ ბუნებაზე მითითებით. საკმეცხება, როგორც ქართული, ისე ურარტული ენებში დამოწმებულ ენ. „ერგატული კონსტრუქციას“, როგორც იმასთან დაკავშირებით, ზმნა გარდამავალია თუ გარდაუვალი, ეს განსაზღვრავს წინადადებაში სახელების სხვადასხვანაირ გაფორმებას („ერგატული“ ანუ გარდამავალი ზმნა მოითხოვს ქართულში და ურარტულში მოთხოვნილი ბრუნვებს, ხოლო „ერგატული“ კონსტრუქცია, გარდაუვალი ზმნა კი — სახელობით ბრუნვას). ასეთი კონსტრუქცია გვხვდება ქართულ და სხვა კავკასიურ ენებში, მაგრამ უცხოა ინდო-ევროპული ენებისათვის მხოლოდ ქართულს ცდნამ მიხედვით წერეთელს საშუალება მისცა შეენიშნა ურარტული ასეთივე თავისებურება, რამაც განასაზღვრა, როგორც ფიქრობდნენ ი. ფრედრიხი და ა. გოცე ურარტოლოგიის განვითარებაში ახალ უფრო მაღალ ეტაპზე გადასვლა“.

ზემოთქმულთან დაკავშირებით, უნებლიედ გვახსენდება აკად. ს. ჯანაშიას შენიშვნა პ. უშაკოვის დისერტაციაზე — „ქართული ძველი ქართულის შესახებ არაფერი იცის“ (იხ. ზემოთ).


ყოველივე ზემოაღნიშნულთან, ცხადი უნდა იყოს, როგორ მეცნიერულ დონეზე ყოფილა დანერგული პ. უშაკოვის (ე.ი. ისეთი ურარტოლოგის, რომელიც დედამიწაზე ვერ კითხულობდა ურარტულ ტექსტებს) სადოქტორო დისერტაცია, ვინ ყოფილა სხვისი ნაშრომებიდან გადაყრის ოსტატი, რაში ყოფილა ისტორიკოს პ. უშაკოვის ერთ-ერთი „საიდუმლოება“ და ა.შ. (ჩვენ გულწრფელად ვწუხვართ, რომ იძულებული გავხდეთ განსვენებული მკვლევარის შესახებ ზოგიერთი არასასურველი შეფასება გამოეთქვას).

საკითხავია, მაინც რა უნდა გადაენერა ვინმეს, მითუმეტეს, აკად. გ. მელიქიშვილს ასეთი ნაშრომიდან, მისი მდარე თარგმანებიდან. აკად. გ. მელიქიშვილის განმარტებული ფუნდამენტური „Урартские клинообразные надписи“ ხომ ისე განსხვავდება პ. უშაკოვის დისერტაციისაგან, თუნდაც იმ 36 ტექსტის თარგმანებისაგან, მის დისერტაციაში რომ არის მოცემული, როგორც ცა დედამიწისაგან. გ. მელიქიშვილის ნაშრომი დანერგულია ურარტოლოგიის განვითარების 50-იანი წლების დონეზე და პასუხობდა მსოფლიო სტანდარტებს, რომლებიც მნიშვნელოვანწილად თვით აკად. გ. მელიქიშვილის ნაშრომებით განისაზღვრება. უფრო მეტიც, ურარტოლოგიის განვითარების თანამედროვე ეტაპზეც აკად. გ. მელიქიშვილის ურარტული წარწერების კორექტი შეფასება ეტალონად ითვლება: კორპუსის მსგავსი ნაშრომი ურარტოლოგიაში დღემდე არა შემქმნილია, აკად. გ. მელიქიშვილის პუბლიკაცია ურარტული წარწერებისა ისეთ დონეზე შესრულებულია, რომ დღესაც მსოფლიო ურარტოლოგიაში ურარტული ტექსტების ციტირება ხდება სწორედ აკად. გ. მელიქიშვილის გამოცემის მიხედვით და არა უფრო გვიან შესრულებული უცხოური გამოცემების მიხედვით, მაგალითად, ისეთი პუბლიკაციისა, როგორცაა იტალიელი ურარტოლოგის მირო სალვინის მიერ გამოქვეყნებული ურარტული წარწერების კო-

რუსი.

მაინც რაში მდგომარეობს აკად. გ. მელიქიშვილის ურარტული ტექსტების კორექტის ღირსება? ნაშრომში განხილულია 1954 წლამდე ცნობილი ყველა ურარტული ლურსმული წარწერა, სულ 370 ტექსტი (მოგვიანებით კი ამას კიდევ დაერთო ახალაღმოჩენილი ათეულობით წარწერა, რომლებიც გამოქვეყნდა უფრონალ „Вестник древней истории“-ში, მოსკოვში). ნაშრომში თითოეული ურარტული ტექსტი მოცემულია ტრანსლიტერაციით კომენტარებითურთ, თან ერთვით რა სატრანსკრიფციო ნიშნები, ასევე თავ ერთვის რუსული თარგმანები კომენტარებითურთ, გამოყენებულია უმდიდრესი სამეცნიერო ლიტერატურა, ტექსტების ვერსიები ცალკეა განხილული, გამოყენებულია ფრაგმენტები, ესტამპაჟები, სათანადო ილუსტრაციები და ა.შ. ნაშრომში დამუშავებულია ურარტული ენის გრამატიკის საკითხები (სხვათაშორის, ეს უკანასკნელი ნაწილი მოგვიანებით რუსულად და გერმანულად გამოქვეყნდა მოსკოვსა და იტალიაში), ნაშრომს თან ერთვით მოგვიანებული (ურარტული სიტყვები ფონეტიკური დანერგობებით, საკუთარი სახელები, გეოგრაფიული სახელები).

დეტალურ შეფასებას აკად. გ. მელიქიშვილის წიგნის ბ-ნ ყორანაშვილს უფრო მეტ გაეცნოს ნ.მ. პოსტოვსკაის ზემონახსენებ ნაშრომში, გვ. 288 და შმდ (ამ ნაშრომის გამოქვეყნებას ნ.მ. პოსტოვსკაია უდიდეს მოვნიდა მიიჩნევს). როგორი ჯიუტობაც არ უნდა გამოიჩინოს ბ-ნ ყორანაშვილმა, იგი ვერ შეძლებს უარყოს, რომ აკად. გ. მელიქიშვილმა (რომელთანაც ამ სტრიქონების ავტორები სტუდენტობის პერიოდში და ასპირანტურაში ყოფნის დროს სწავლობდნენ სწორედ ურარტულ ენას) გასწავლა მართლაც რომ დიდი შრომა, რამაც მას სრულიად არ დასჭირებოდა პ. უშაკოვის ნაშრომიდან გადა-



გ. მელიქიშვილი

ენერა (ან ესარგებლა) 50-იანი წლებისათვის უკვე მოძველებული თარგმანი, განსაკუთრებით ბ-ნ ყორანაშვილს, რომ „დიდი რიხით მოაქვს თავის პასკვილში“. საქმეში ჩაუხვედავ მკითხველს გ. ყორანაშვილი უღმერთოდ ატყუებს: გ. მელიქიშვილს უფჯვლად გამოყენებული აქვს პ. უშაკოვის დისერტაცია, კერძოდ, ავტორის მრავალი წაკითხვა და მდიდარი ისტორიოგრაფიკა. ამის „დასამტკიცებლად“ მას მოჰყავს პ. უშაკოვისა და აკად. გ. მელიქიშვილის მიერ თარგმნილი ორი ურარტული ტექსტის ურთიერთმდარეობა, ნახეთ, გ. მელიქიშვილმა პუშაკოვის ნაშრომი როგორ გამოიყენა!

მაინც რას გვიჩვენებს ეს შედარება? როგორც ამ ორი თარგმანის შეჯერებიდან ჩანს, ორივე ავტორი სტრიქონ-სტრიქონ (უფრო სწორად, სიტყვა-სიტყვით) მიჰყვება ურარტული წარწერას (ტექსტს). ამიტომაც არის, რომ ორივე თარგმანში მოცემულია ურარტული ტექსტი ნახსენები ერთი და იმავე დეტალების სახელი („ხალდი“, „თეიშება“, „შიგინი“), ერთი და იმავე პირის სახელის („მენუა იშუფინის ძე“, „სარდური“), გეოგრაფიული პუნქტების („დიოხი“, „შაშილი“, „შეშეთი“, „ზუა“, „კულხა“, „ილდა-შეშა“) და სხვ. ორივე თარგმანში მეორდება ცალკეული მარტივი წინადადებებიც („დვთაება ხალდის ძლიერებით“, „მენუა ამბობს“, ან „სარდური ამბობს“, „დავიყარ ესა და ეს ქვეყანა“ და ა.შ.). ბ-ნ ყორანაშვილის მიერ მოტანილი ორი ურარტული ტექსტიდან ერთ-ერთში საუბარია მეფის მიერ ნადავლის ხელში ჩაგდებაზე, ესაა: 8100 მოზარდი, 9100 ქალი, 17200 ცხენი, 1500 ცხენი, 17300 ხარი, 31600 ცხვარი და სხვ. ერთ ურარტულ ტექსტში მოცემულია ტრა-

ფარტული წყველის ფორმულა და ა.შ.

საკითხავია, როგორ უნდა ეთარგმნა აკად. გ. მელიქიშვილს (ანდა ნებისმიერ ურარტოლოგს) ყოველივე ზემოაღნიშნული, განსაკუთრებით, რიცხობრივი მონაცემები ისე, რომ მისი თარგმანი არ დამსგავსებოდა პ. უშაკოვის თარგმანს? აღნიშნული ორი წარწერა ხომ დაახლოებით ასე აქვთ თარგმნილი მსოფლიოს სხვა ურარტოლოგებსაც (ცხადია, საკუთარი სტილის დაცვით)? განა ეს ნიშნავს იმას, რომ გ. მელიქიშვილმა ყოველივე ზემოაღნიშნული სხვებისგანაც გადაინერა? ნუთუ ეს არის პლაგიატორება?

ჩვენთვის საინტერესო ორი თარგმანის შედარებისას, ბ-ნ ყორანაშვილი განზრახ არიდებს თვალს შემდეგ გარემოებას, უმაღლეს რა მას მკითხველს, იგი თითქმის ვერ ამჩნევს, რა განსხვავებაა ამ ორ თარგმანს შორის, არ აღიარებს, რომ პ. უშაკოვის მოძველებული (და მცდარი) წაკითხვების ნაცვლად აკად. გ. მელიქიშვილი იძლევა ახალ (და სწორ) წაკითხვებს. ასე მაგალითად:

- პ. უშაკოვთანაა: — აკად. გ. მელიქიშვილთანაა: страна Диаунинова - страна Диауни Халд - Халди город Уцуха - Утухаи Уцупуриши - Утупуришни Халдирули - Халдирулхи Тешуб - Тейшеба Ардин - Шивини Боги-дну - (все) боги Ильдамуш - Илдамаша железную доску - железную печать во главе кавалерии - выступил в поход Витеруха - Уитерухи Урая - Урачани детей - отроков народ - человек быков - крупного рогатого скота овец - мелкого рогатого скота царя Аргухи - царя Аркукиа Хулха-ихних - Кулхახали

